საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ათაულა მეჰმედ შანი-ზადე

ათაულა მეჰმედ შანი-ზადე (XVIII ს. დასასრ. – XIX ს. I ნახ.), თურქი ისტორიკოსი, ოსმ. კარის ოფიციალური ისტორიოგრაფი 1819–25.

მისი ოთხტომიანი ოსმ. ისტორია შეიცავს 1808–21 ამბებს. მასში აღწერილია ავტორის მიერ განცდილი, თვალით ნახული და მისი თანამედროვე ამბები. *თხზ.* I–II ტომებში უხვადაა ცნობები საქართველოს შესახებ: XIX ს. 20-იან წწ. ბათუმსა და ფოთზე, გონიოს ციხეზე, საქართვ. გლეხთა მდგომარეობაზე, იმერეთის მეფე სოლომონ II-ზე, ჩილდირის ვილაიეთზე (ადმ.-ტერ. ერთეული), გაშუქებულია რუს.-ოსმალეთის ურთიერთობის ცალკეული მომენტები აღნიშნულ პერიოდში.

ლიტ.: შ ე ნ გ ე ლ ი ა ნ., XV – XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974;

ნ. შენგელია